



ჯონათან საფრან ფოერი

სრული
გასხივოსნება

ჯონათან საფრან ფოერი
სრული ბასსნივოსნება

Jonathan Safran Foer
EVERYTHING IS ILLUMINATED



Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia.

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს
ნიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში.



მთარგმნელი გია ქუმბურიძე
რედაქტორი ირინა ბიაშვილი

გარეკანის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© Jonathan Safran Foer, 2002
Photography Copyright: © Gianluca Gentilini 2012
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2233-3789

ISBN 978-9941-11-384-0

www.diogene.ge

25 წლის ჯონათან საფრან ფოერის (1977) ამერიკულ ლიტერატურაში გამოჩენა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მის შესახებ არათუ რიგითი კრიტიკოსები, პროზის დინჯი და სიტყვაძუნწი ოსტატებიც კი აღფრთოვანებით წერდნენ. 2002 წელს გამოქვეყნებულ სადებიუტო რომან „სრულ გასხივოსნებას“ ჯონ აპდაიკმა „გამაოგნებელი წიგნი“ უწოდა.

ეს არის გამქრალი ებრაული დასახლება ტრაზიმბროდის, ამ დასახლების საქებნად უკრაინაში ჩასული ამერიკელისა და უხეირო ინგლისურით მოლაპარაკე მისი ოდესელი თარჯიმნის ისტორია, მოთხრობილი მეტად უცნაური და სასაცილო ენით.

შეუძლებელი – მარტივად:

ვუძღვნი ჩემს ოჯახს

ერთი მართლაცდა ფრიად გადარითულეპული მგზავრობის წინასწარმძმა

კანონიერი სახელი ჩემი ალექსანდრ პერჩოვია, ოღონდაც ძმა-
კაცობაში ალექსს მიხმობენ – უფრო ასწორებსო. აი დედა
კი სულ ასე მეძახის: *ალექსი-გეყო-ჩემი-ნერვებისთხლეშა!*
ნერვიულობით კი იმიტო ნერვიულობს, რომ მთელ ფარას
მეგობრებში ვთესავ და ბევრ-ბევრ ისეთ რამეებსაც ვაკეთებ,
ნებისმიერ დედას მიიყვანს ნერვიულობამდე. მამა „კეპკას“
მეძახდა ხოლმე, იმიტო რომ ზაფხულშიც კი თავდახურული
დავდიოდი და ასე მეძახდა, სანამ არ მოვაკეტინე, რადგან ეს
რალაცა ბავშვურად მესმოდა, მე კიდე სულ კაცი ვარ და ქუდი
მხურავს და კაცური კაცი მეგონა საკუთარი თავი. გოგობიც
ხომ არა და არ მაკლია და ყველას რალაცა თავისი სახელი აქ
ჩემთვის: ერთი „პატარას“ მეძახის – იმიტო კი არა, თითქოს
მოცუცქნული ვიყო, უბრალოდ, სულ თვალის დევნა გჭირდე-
ბაო – მიმტკიცებს. მეორემ კიდე „სადღელამისო“ შემარქვა
და ახლა არ მკითხოთ, რატომო. მესამემ – „ვალუტა“, რადგან
მისთვის ფარა სულ მაქვს და ამიტომაც სულ ჩემ ნატერფალებს
კოცნის. უმრწემესი ძმაც მყავს – ალეს მეძახის და სულაც
არ მეხატება გულზე ეს სახელი, ოღონდ ჩემ ძმაზე კი სული

მიმდის და ამიტომაც იყოს რა – იყოს და მეძახოს. თვითონ იგორიკა ქვია, თუმცა მამა მას ბანტურას უხმობს, რაკილა მუდამ რალაც ნივთებთან შედის ხოლმე ახლო კონტაქტში. აგერ, სულ რალაც გუშინნინისნინ იყო, ცუდი მენეჯმენტის გამო აგურის კედელს რომ დაეკონტაქტა. ჩემს ძუკნას კიდე *სემი დეივის-უმრნემესი* ქვია, რადგან სემი დეივის-უმცროსი ბაბუაჩემის სასიქადულო მომღერალი გახლდათ და ძაღლიც ხომ იმისია, ჩემი კი არა – მე სულაც არ ვთვლი, რომ ბაბუაჩემი ბრმაა და გზამკვლევი ძაღლი ჭირდება.

თავად მე, ჩემდათავად, 1977 წელს ვიშვი და ამ ამბის მთავარი გმირის თანასწორი ვარ ასაკის ამბავში. სულ აქამომდე, ძან მარტივი ცხოვრება მქონდა – როგორც რომ უკვე მოგახსენეთ, ბევრ რამეს კი ჩავდიოდი, ოღონდ ეს მაინც სულ უბრალო რამეები იყო, მე კი ამერიკულ კინოებზე ვაფრენ და ვგიჟდები ამერიკელ ზანგებზე, განსაკუთრებით კი მაიკლ ჯექსონზე. კიდე მაგრა მევასება ღამის კლუბები ოდესაში, ლამბორგინი კანტაჩეს და კიდევ-კიდევ – კაპუჩინო. გოგოები უარზე არ არიან მაგარ-მაგარი დეიტინგები მოვუწყო ხოლმე *ლოთ კენგურუში, მწარე სიტკბობებსა თუ კომკავშირელის ცრემლებში*. რატომო? – იკითხავთ და როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაგივარდებათ – იმიტო რომ პრემიუმ ბიჭი ვარ და მაგარი გამსწორებელი და ვისაც გინდა, შევაბამ. არადა, რამდენი ვიცი, მაგარ-მაგარ პიპიებზე რომ გიჟდებიან და დისკოთეკებზეც სრულ ჩათვლებს იღებენ და მაინც ჩემი ფეხები – თუ რამეს სადმე შეაცურებენ, მხოლოდ ხელებს მუცელსქვემოთ და ეგაა სულ. ალექსებიც თავზე საყრელადაა – მარტო ოჯახში სამნი ვართ ეგეთები! ამიტომაც იყო, ეგრერიგად რომ განვიხარე ქალაქ ლუცკში გამგზავრებისა და ვინმე ჯონათან საფრან ფოერისათვის თარჯიმნობის განწვეის

უბადლო პერსპექტივისაგან. ძან მაგარი რამის ამბავი უნდა გამომდგარიყო – უმაღლესი თავის ფასში.

სულ ორად ორი წელი ვსწავლობდი ინგლისურს საუნივერსიტეტო გარემოში და, როგორც თავად ხედავთ, სრულიად ედვანსირებულად – იმის მიუხედავად, ჩემ მასწავლებელს ტვინის მაგივრად ქაქი რომ ედო თავში. ჩემი ამ მაგარზე-მაგარი წარმატების გამოისობით დედიჩემი ისე გაიბლინდა, სულ იმას იმეორებდა – *ალექსი-გეყო-ჩემი-წერვებისთხლეშამ ძან-ძან მასახელაო!* ალაგობრივ მოვთხოვე ტყავის ჯინსების ყიდვა, მაგრამ უარი შემომითვალა სამზარეულოდან. მერე შორტებზე ჩამოვქვეითდი, და აქაც უარი დამხვდა. „ნამდვილი კეპკა ხარ!“, – მითხრა მამაჩემმა. „მასე ნუ მეძახი-მეთქი“, – ვუთხარი მე მას და იმანაც სრული ადეკვატურობით მიპასუხა: „კარგი, შენ ახლა დედიშენის სიამაყე ხარ!“

დედაჩემი ერთი თავმდაბალი ქალია. ძან-ძან თავმდაბალი. წელებზე ფეხებს იდგამს ერთ პატარა კაფეში, რომელიც მთელი ერთი საათის სასიარულოა ჩვენი სახლიდან. იქ ის კლიენტებს სასმელსა და საკვებს ურიგებს ხოლმე და მე კი მეუბნება: „ავტობუსზე ავდივარ ერთი საათით, რომ მთელი დღე ვიმუშაო და ისეთი რალაც-რალაცები ვაკეთო, რასაც ჭირივით ვერ ვიტან. და თუ იცი, რატომ და რისთვის? შენთვის, ჩემო ალექსი-გეყო-ჩემი-წერვებისთხლეშა! მერე კი ოდესმე შენც იმავეს გააკეთებ ჩემთვის. ეგაა სწორედ ოჯახი“. მარტო იმას ვერა ხვდება, რომ მე, დაგენაცვლე, უკვე რა ხანია ისეთ რამეებს ვუკეთებ, რისი კეთებაც ყელამდე მაქ ამოსული – ვთქვათ, ვუსმენ, როცა მელაპარაკება, არა ვწუნუნებ ჩემი მიზერული ჯიბის თანხების გამო და საერთოდ, არც ისეთი ინტენსიურობით ვათხლიშავ ხოლმე წერვებს, როგორც ამის დიდი სურვილი მკლავს. ოღონდ ეს ყველაფერი არა იმიტომ,

თითქოსდა მართლა რომ ერთი დიდი ოჯახი ვიყოთ – სულაც არა! ელემენტალური საზოგადოებრივი ზრდილობა და მეტი არაფერი. ეს იდიომა ამ წიგნის გმირმა მასწავლა და რამე იყოს, არც ისეთი პროჭმატორა ვინმე ვარ, სხვანაირად მოვიქცე – კიდე ერთი მხატვრული სახე, მანვე რომ ჩამიდო თავში.

მამა ტურისტულ სააგენტოში ჩალიჩობს სახელდებით „წარმომავლობითობის მოხილვა“, რომელიც სწორედ იმისთანა ებრაელებისთვისაა, ერთი სული რომ აქვთ, ის კეთილნაშობი ქვეყანა ამერიკა დროებით მიატოვონ და პოლონეთისა თუ უკრაინის მიყრუებული დასახლებები მოინახულონ. ეს იმიტომ, რომ იქ მათი ოჯახები სახლობდნენ ერთ დროს, და სააგენტოც გვარიანად აფცქენის მათ თარჯიმნით, გიდიტა და მძლოლით მომსახურების საფასურს. ცოდვა გამხელილი ჯობს და აქამომდე ერთი ებრაელიც არ შემხვედრია ცხოვრებაში, ეს კი აბა, რა ჩემი ბრალია – ყოველთვის მსურდა და ნელტფილად მზადაც კი ვიყავი ამგვარი შეხვედრებისათვის, თუმცა კი ჭეშმარიტებას ვამჯობინებ და ვიტყვი, რომ ამ მოგზაურობამდე სულ მეგონა, დიდი ბენტერა ვილაცები არიან-მეთქი – აბა, სხვა ვინ ჭკუადამჯდარი აიბარგება შტატებიდან და უკრაინაში წაბოდილდება-მეთქი. ახლა კი აზრი გადავცვალე – ჯონათან საფრან ფოერი არაფერი ბენტერა არაა და ნაღდი ჭკუადამჯდარი ყვევრია, გეუბნებით მე თქვენ!

აი ბანტურას რაც შეეხება, მე მას მხოლოდ იგორიკას ვეძახი და ასე მგონია, მაგისაგანაც უმაღლესი ხარისხის მამრი დადგება – ასე ვთქვათ, კაცური კაცი და ტვინიც კუნთობრივად გავარჯიშებული ექნება. დიდად მოცულობით საუბრებს არ ვატარებთ ხოლმე, იმიტომ რომ არც დიდად ენაძჭრელი ბრძანდება, თუმცა დარწმუნებით კი ვიტყვი, რომ პირველხარისხოვანი მეგობრები ვართ. ფართო თვალ-